საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9522/01
09/09/2021

9522-01-2-202109091255

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 აგვისტოს N15402 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის (F3) უბისა-შორაპანის მონაკვეთის მშენებლობის განხორციელების დროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების №8 სანაყაროზე 2 შვიდმეტრიანი საფეხურის დამატების საკითხს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, თუმცა დოკუმენტში, შესაბამის გრაფაში, საქმიანობის განმახორციელებლად მითითებულია „ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაცია“, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

სკრინინგის განცხადებაში განცხადების წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 9.13 ქვეპუნქტი, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში განხილულია არა უშუალოდ ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასთან, არამედ ფუჭი ქანების სანაყაროს გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო ნაპირსამაგრის მოწყობა განხილულია როგორც წყალდიდობების შემთხვევებისთვის გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიება. სკრინინგის დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებელი, ასევე წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობების მოწყობასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-7 მუხლში მითითებული სკრინინგის კრიტერიუმების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp ფაილებზე წარმოდგენილია მთლიანი სანაყაროების პოლიგონი და დატანილი არ არის/არ იდენტიფიცირდება უშუალოდ ნაპირსამაგრი ნაგებობის კონტური.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სანაყაროს უბანზე თავდაპირველად იგეგმება ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის მოხსნა და დასაწყობება. 22.5 ქვეთავში წარმოდგენილი ცხრილის თანახმად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უკვე მოხსნილია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე